სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
470.230.000.22.035.011.167

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

მინისტრის ბრძანება №329/ნ

2007 წლის 28 ნოემბერი

ქ. თბილისი

ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე და სხვა სამხედრო ან სამოქალაქო დანიშნულების ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებისათვის ჯანმრთელობისათვის საშიში სხივური ზემოქმედების დონის განმსაზღვრელი სპეციალიზებულ სამკურნალო დაწესებულებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ

,,ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე და სხვა სამხედრო ან სამოქალაქო დანიშნულების ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს იმ სპეციალიზირებულ სამკურნალო დაწესებულებათა ნუსხა, რომელთაც ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად გააჩნიათ ჰემატოლოგიური სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია და უფლებამოსილნი არიან უზრუნველყონ ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე და სხვა სამხედრო ან სამოქალაქო დანიშნულების ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებისათვის ჯანმრთელობისათვის საშიში სხივური ზემოქმედების დონის განსაზღვრა:

ა) სს ,,ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“;

ბ) მ. იაშვილის სახელობის სს ,,ბავშვთა ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო ,,რესპუბლიკა“;

გ) სს ,,ალ. ძოწენიძის სახ. იმერეთის სამხარეო კლინიკური საავადმყოფო“.

2. ამ ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნული სამედიცინო დაწესებულებები თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელებენ ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე და სხვა სამხედრო ან სამოქალაქო დანიშნულების ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებისათვის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრას/დადგენას.

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დ. ტყეშელაშვილი